

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი  
INSTITUTE FOR POLICY STUDIES

---

**ელექტორატის პროფილი:  
გამოკითხვის ანგარიში**

**ELECTORATE PROFILE:  
REPORT OF THE SURVEY**

თბილისი 2012 Tbilisi

გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors are their only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation.

Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



პროექტი განხორციელებულია

ღია საზოგადოება – საქართველოს მხარდაჭერით

The project is supported by Open Society Georgia Foundation

ავტორი: ნანა სუმბაძე

Authored by: Nana Sumbadze

ყდის დიზაინი: მაია სუმბაძე

Cover design: Maya Sumbadze

დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი

Layout: Giorgi Bagrationi

## **სარჩევი CONTENTS**

**ანგარიში ქართულ ენაზე**  
**4**

**Report in English**  
**22**

**დანართი Annex**  
**36**

არჩევნების წინ პოლიტიკური სუბიექტებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მარტო ელექტორატის პოლიტიკური სიმპათიების გაგება არამედ იმის დადგენაც, თუ როგორია თოთოეული პოლიტიკური სუბიექტის მხარდამჭეთა დემოგრაფიული პროფილი, ღირებულებები, მრწამსები და შეფასებები. ამ ინფორმაციის ყველა დაინტერესებული პირისათვის მინოდება, ხელს შეუწყობს წინასაარჩევნო პროცესის თანასწორობას და ყველა პარტიას შესაძლებლობას მისცემს უკეთ დაგეგმოს საკუთარი საარჩევნო კამპანია. სწორედ ამას ემსახურება „ლია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის: „თაობები და ღირებულებები“ მონაცემთა ნაწილის ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი. თვითონ გამოკვლევა ეხება ღირებულებებთან მიმართებაში თაობებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენას, თაობებს შორის მანძილის შესამცირებლად და ეფექტური თანამშრომლობის მხარდასაჭერი ქმედებების დაგეგმვას, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების სიახლოვესა და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კითხვარში ჩასმულ იქნა ერთი შეკითხვა, რომელიც ემსახურებოდა რესპონდენტთა პოლიტიკური სიმპათიების დადგენას. ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი სწორედ პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა დემოგრაფიულ პროფილს, მათ ღირებულებებს, მრწამსებს, თვისებებს და ქვეყანაში არსებული მდგომარეობისადმი მათ დამოკიდებულებებს ასახავს.

გამოკითხვა ჩატარდა 21 ნოემბერიდან 19 დეკემბერამდე საქართველოს ყველა რეგიონში. გამოკითხვა რეპრეზენტატიული იყო, გამოკითხული იყო საქართველოს მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში, ყოველი რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის წილის შესაბამისი რაოდენობის ადამიანი. მოცემული კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოკითხულ იქნა სამი თაობის ადამიანები: 18-24 წლის, 40-50 და 60-70. შერჩევა ჩატარდა იერარქიული შემთხვევითი შერჩევის მიხედვით – ინტერვიუერი შედიოდა დასახლების საწყის წერტილად წინასწარ შერჩეული ადგილიდან ყოველ მეხუთე სახლში და გამოკითხვას ატარებდა კვოტით განსაზღვრულ ასაკისა და სქესის რესპონდენტთან. გამოკითხვა ტარდებოდა პირისპირ ინტერვიუს სახით იმ პირებთან ვინც ფლობდა ქართულ ენას. მისი ხანგრძლიობა ცვალებადობდა 30-დან 45 წუთამდე.

გამოკითხვის სირთულეს წარმოადგენდა რესპონდენტთა ინტერვიუზე დათანხმება, განსაკუთრებით თბილისში, სადაც ინტერვიუერებს ხშირად უბრალოდ არ უღებდნენ კარს.

## შედეგების ანალიზი

შეკითხვა, რომელიც პოლიტიკური სიმპატიის დადგენას ემსახურებოდა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „ხვალ რომ ტარდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნები, რომელ კანდიდატს მისცემდით ხმას?“


გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არ შეარჩია კონკრეტული პოლიტიკოსი. ყველაზე ხშირად დასახელებულ იქნა ბიძინა ივანიშვილი.

### ცხრილი 1

#### პრეზიდენტის კანდიდატთა რანჟირება %

N	კანდიდატი	N=1058
1	ბიძინა ივანიშვილი	22.7
2	მიჭირს პასუხის გაცემა	19.8
3	არ მსურს პასუხის გაცემა	15.4
4	არცერთი	15.2
5	სხვა	9.5 აქედან 8.7 დაასახელა სააკაშვილი
6	გიგი უგულავა	7.5
7	დავით ბაქრაძე	3.8
8	ირაკლი ალასანია	2.0
9	გიორგი თარგამაძე	1.9
10	შალვა ნათელაშვილი	0.9
11	სოზარ სუბარი	0.3
12	ნინო ბურჯანაძე	0.1
13	ირაკლი ოქრუაშვილი	0.1
14	ლევან გაჩეჩილაძე	0

რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა, გამოკითხულთა მესამედზე მეტმა უარი თქვა პოლიტიკური სიმპატიის გამჟღავნებაზე – ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ არ სურდა პასუხის გაცემა, ხოლო მეორემ, რომ არ ქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია. ასევე დიდი აღმოჩნდა სკეპტიკოსთა წილი, მათი ვინც არცერთ პოლიტიკურ სუბიექტს არ უჭერს მხარს. ეს ორი ჯგუფი გამოკითხულთა ნახევარზე ცოტა მეტია და ფაქტიურად ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერთა პოტენციურ რეზერვს წარმოადგენს. ნათლად გამოჩნდა ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის ბიძინა ივანიშვილის გარშემო კონცენტრირება, ოპოზიციის ყველა სხვა ლიდერს მხოლოდ გამოკითხულთა 3.3% უჭერს მხარს. ეს ცალსახად მიანიშნებს არჩევნების წინ რეალურად მხოლოდ ორი ძალის, ივანიშვილისა და ნაციონალური მოძრაობის არსებობაზე.



**ნახ.1**

**პოლიტიკურ სუბიექტების მხარდამჭერთა ჯგუფები**

ქვემოთ ჩვენ კვლევის მონაცემების ნაწილს წარმოვადგენთ პოლიტიკური სიმპატიების მიხედვით გაერთიანებული რესპონდენტების 5 ჯგუფის მიხედვით ესენია ივანიშვილის მხარდამჭერები (ჯგ. I), ოპოზიციის მხარდამჭერები (ჯგ. II), ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები (ჯგ. III), ისინი, ვინც არ გამოხატა პოლიტიკური სიმპათიები – რესპონდენტებმა, რომლებმაც პასუხად შეარჩიეს „არ მსურს პასუხის გაცემა“ ან „მიჭირს პასუხის გაცემა“ (ჯგ. IV) და ისინი, ვისაც არ გააჩნია პოლიტიკური სიმპათიები (ჯგ. V) (იხ. დანართი, ცხრილი 1). ეს მონაცემები ცხრილების სახით ძირითადად დანართშია წარმოდგენილი. მონაცემთა სიცხადისათვის

ჩვენ ტექსტში არ განვიხილავთ ორ ჯგუფს – ოპოზიციის მხარდამჭერებს, რომელიც ძალზე მცირერიცხოვანია და შესაბამისად მონაცემები არ იძლევა განზოგადების საშუალებას და ჯგუფს, რომელშიც ისინი გაერთიანდნენ, ვინც პოლიტიკური სიმპატიები არ გამოხატა. ამდენად ფოკუსირებას მოვახდენთ, ივანიშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებზე და მათზე, ვინც არცერთ პოლიტიკურ ძალას არ ემხრობა. ამ უკანასკნელს პირობითად სკეპტიკოსებს ვუნოდებთ.


## **დემოგრაფიული პროფილი და ინტერესი პოლიტიკის მიმართ**

ივანიშვილის მხარდამჭერებს შორის სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე მაღალია ქალაქის მაცხოვრებლების (61.9%) წილი (იხ. დანართი, ცხრილი 2). საშუალო და პროფესიულ განათლებაზე უფრო მაღალი განათლების სტატუსი (სტუდენტი, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები) აქვს 59.3%-ს (იხ. დანართი, ცხრილი 3). ნაციონალურ მოძრაობის მომხრეებთან შედარებით ივანიშვილის მომხრეების უფრო დიდი ნაწილი იყენებს კომპიუტერს, ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს (56.7%, 53.6% და 43.2% შესაბამისად) (იხ. დანართი, ცხრილი 4). 27.7% ხშირად საუბრობს მეგობრებთან პოლიტიკაზე (იხ. დანართი, ცხრილი 5). ამ ჯგუფის წევრთა ნახევარზე ნაკლებს (45.7%) აინტერესებს პოლიტიკა (იხ. დანართი, ცხრილი 6), 40.2% ყოველდღე უყურებს ახალ ამბებს (იხ. დანართი, ცხრილი 7).

ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს შორის ჭარბობს სოფლის მოსახლეობა (62.7%). მხარდამჭერების 47.4%-ს აქვს საშუალო და პროფესიულ განათლებაზე უფრო მაღალი განათლების სტატუსი. კომპიუტერის მომხმარებელია მხარდამჭრთა 51.7%, ინტერნეტის 49.0%, ხოლო სოციალურ ქსელები 40.4%. 30.6% ხშირად საუბრობს მეგობრებთან პოლიტიკაზე. ამ ჯგუფის წევრთა ნახევარზე ოდნავ მეტს (50.7%) აინტერესებს პოლიტიკა, უდიდესი ნაწილი (71.3%) ყოველდღე უყურებს ახალ ამბებს.

მათ შორის, ვინც არცერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერს მხარს უმეტესობა (55.3%) ქალაქის მაცხოვრებელია. საშუალოსა და პროფესიულ განათლებაზე უფრო მაღალი განათლება აქვს სკეპტიკოსთა 50.3%-ს. ამ ჯგუფში სხვებთან შედარებით ყველაზე

მაღალია კომპიუტერის, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მომხმარებელთა წილი (64.0%, 62.7% და 53.4% შესაბამისად). 16.6% ხშირად საუბრობს მეგობრებთან პოლიტიკაზე. ამ ჯგუფის წევრთა ძალზე მცირე ნაწილი (25.5%) აცხადებს, რომ აინტერესებს პოლიტიკა, 39.1% ყოველდღე უყურებს ახალ ამბებს.



ნახ.2

მხარდამჭერთა დემოგრაფიული მონაცემები


## ეკონომიკური მდგომარეობა

რესპონდენტთა მიერ ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიხედვით უმრავლესობა (34.4%) საკუთარ ოჯახს საშუალო შეძლების მქონედ მიიჩნევს. სკეპტიკოსები (34.9%), ივანიშვილის მხარდამჭერებსა (32.5%) და ნაციონალური მოძრაობის მომხრეებზე (27.5%) უფრო შეძლებულები არიან. (იხ. დანართი, ცხრილი 8).

გამოკითხულთა უმრავლესობა (51.7%) მიუთითებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა. ჯგუფებს შორის განსხვავება აღინიშნა მათთან, ვინც მიუთითა ცვლილებაზე. ნაციონალურ მოძრაობის მხარდამჭერთა 37.8%-ის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ხოლო 18.7%-ის გაუარესდა, ასევე უფრო მეტ სკეპტიკოსთა (28.5%) მდგომარეობა გაუმჯობესდა, ვიდრე გაუარესდა (21.5%),



მაშინ როდესაც სანინალმდეგო ტენდენცია აღინიშნა ივანიშვილების მხარდამჭერთა შორის – 19.6%-ის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ხოლო 29.4%-ის გაუარესდა (იხ. დანართი, ცხრილი 9).



**ნახ.3**


**ცვლილება ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაში  
ბოლო წლის განმავლობაში**

შემოსავლის მისაღებად არაფერს აკეთებს ნაციონალური მოძრაობის მომხრეთა 56.9%, სკეპტიკოსთა 52.6% და ივანიშვილის მომხრეთა 51.5% (იხ. დანართი, ცხრილი 10). ყველაზე დიდ ნაწილს შემოსავალი სახელმწიფო დაწესებულებებიდან აქვს. სახელმწიფო დაწესებულებებში სხვებზე მეტად (15.3%) ნაციონალური მოძრაობის მომხრეები მუშაობენ. კერძო დაწესებულებები ივანიშვილის მომხრეთა ყველაზე დიდი ნაწილის შემოსავალის წყაროს წარმოადგენს (17.0%) (იხ. დანართი, ცხრილი 11).

**ღირებულებები, მრწამსები და  
პიროვნული თვისებები**


ჯგუფები ძირითადად ერთმანეთისგან არ განსხვავდება ღირებულებების მიხედვით. ყველაზე ღირებულად ფასდება ჯანმრთელობა, ოჯახი, სახლი და განათლება. აღსანიშნავია, რომ სხვა

ჯგუფებისგან განსხვავებით სკეპტიკოსები ბევრად უფრო მეტ ღირებულებას მიაწერენ მეგობრებს (იხ. დანართი, ცხრილი 12).




**ნახ. 4**  
ღირებულებების მნიშვნელობა

სხვადასხვა პიროვნული მახასიათებლების მნიშვნელობის რანჟირების მიხედვითაც ჯგუფები ერთმანეთისგან რეალურად არ განსხვავდებიან. გამოკითხულთა უმრავლესობას ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ადამიანი იყოს მეგობრების ერთგული, რომ იგი პატივისცემით სარგებლობდეს, ეხმარებოდეს სხვებს, იყოს მორწმუნე და თავმდაბალი (იხ. დანართი, ცხრილი 13).



**ნახ. 5**  
სხვადასხვა პიროვნული მახასიათებლების მნიშვნელობა

ჯგუფები ერთმანეთისგან არც სამსახურთან დაკავშირებული ღირებულებების მიხედვით განსხვავდებიან. ყველაზე მნიშვნელოვნად აღიქმება ხელფასი, ხოლო შემდეგ სამუშაოს მახასიათებლები – ის, რომ იგი იყოს საინტერესო და მნიშვნელოვანი (იხ. დანართი, ცხრილი 14).




ნახ. 6

**სამუშაოს სხვადასხვა მხარეების მნიშვნელობა**

ღირებულებათა კიდევ ერთ მხარეს წარმოადგენს ის, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანები იმ თვისებებს, რომლებიც ბავშვმა შეიძლება სახლში შეიძინოს. კითხვარში ჩამოთვლილი ყველა 11 თვისება მნიშვნელოვნად იქნა შეფასებული გამოკითხულთა 90%-ზე მეტის მიერ. მათგან მნიშვნელოვნად ყველაზე მეტი რესპონდენტის მიერ შეფასებულ იქნა პასუხისმგებლობის გრძნობის ქონა, შრომისმოყვარეობა, საზოგადოებაში მოქცევის წესების ცოდნა და მიზანსწრაფულობა. საინტერესოა რომ ყველაზე მცირე ნაწილმა ჩათვალა მნიშვნელოვნად დამოუკიდებლობა (იხ. დანართი, ცხრილი 15).

ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები დიდი ოპტიმიზმით და საკუთარ თავში რწმენით გამოირჩევიან. ყველაზე ნაკლებად ეს თვისებები ივანიშვილის მომხრეებს ახასიათებთ. სკეპტიკოსებს შუალედური პოზიცია უკავიათ. ნაციონალური მოძრაობის 93.8%-ს

მიაჩნია, რომ თავდადებულ შრომას საბოლოო ჯამში წარმატება მოაქვს (ასე ფიქრობს ივანიშვილის მომხრეთა 77.7% და სკეპტიკოსთა 77.0%), 82.2% ფიქრობს, რომ ის თუ რას მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში უფრო მასზეა დამოკიდებული, ვიდრე სხვებზე და ვითარებაზე (ასე ფიქრობს ივანიშვილის მხარდამჭერთა 66.3% და სკეპტიკოსთა 69.4%). 59.9% დარწმუნებულია, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ძირითადად ისე წაუვა, როგორც მას სურს (ასე ფიქრობს ივანიშვილის მხარდამჭერთა 52.1% და სკეპტიკოსთა 61.6%). საკუთარ თავში საკმაოდ დარწმუნებულია ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 72.2%, სკეპტიკოსთა 61.5% და ივანიშვილის მომხრეთა 52.1%. ცხოვრებით კმაყოფილია ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 52.6%, სკეპტიკოსთა 33.5% და ივანიშვილის მხარდამჭერების 31.7%. თავს ბედნიერად გრძნობს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 64.1%, სკეპტიკოსთა 60.6% და ივანიშვილის მხარდამჭერთა 46.2%. ყველა ჯგუფის მხარდამჭერთა უმრავლესობა (69.4%) დარწმუნებულია, რომ თუ ადამიანს კარგი განათლება აქვს, ის საბოლოოდ მაინც მიაღწევს წარმატებას. ყველაზე მეტად ამაში დარწმუნებული ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები (78.0%), ყველაზე ნაკლებად კი სკეპტიკოსები (65.2%) არიან. სხვებისადმი ყველაზე დიდი ნდობა (23.1%) ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს, ხოლო ყველაზე მცირე (16.2%) სკეპტიკოსებს აქვთ (იხ. დანართი, ცხრილი 16).



ნახ. 7

მრწამსები და დამოკიდებულებები

## უპოვითორობები

ოჯახი მნიშვნელოვნ ინსტიტუტად არის მიჩნეული ყველა პოლიტიკური ძალის მიმდევარის მიერ. გამოკითხულთა 97.1% მას ასე აფასებს. ქორწინებას დრომოჭმულად არ მიიჩნევენ გამოკითხულთა 88.7%. დიდი დღესასწაულების ოჯახის წევრებთან აღნიშვნის მნიშვნელობაზე მიუთითებს გამოკითხულთა 93.2%. ოჯახის ყოველდღე ერთად სადილს ემხრობა გამოკითხულთა 72.9%. 95.3% ფიქრობს, რომ ადამიანმა ყველაფერი გვერდზე უნდა გადადოს ოჯახის წევრის დასახმარებლად, 52.2%-ის აზრით კი ადამიანმა ყოველთვის უნდა დაიცვას ოჯახის ინტერესები, მაშინაც კი როდესაც იცის რომ ოჯახი სწორედ არ მოიქცა.


67.2% აზრით ოჯახში საბოლოო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს. ასე ფიქრობს ნაციონალურ მოძრაობის მომხრეთა 75.4%, ივანიშვილის მომხრეთა 68.7% და სკეპტიკოსთა 63.1%. 49.1% მიიჩნევენ, რომ გათხოვების შემდეგ ქალმა ნაკლები დრო უნდა დაუთმოს სამსახურს. ასე ფიქრობს სკეპტიკოსთა 51.0%, ივანიშვილის მომხრეთა 49.2% და ნაციონალურ მოძრაობის მომხრეთა 45.4%. თუმცა ამავდროულად უმრავლესობა (66.3%) ისეთ ქორწინებას უჭერს მხარს, სადაც ორივე – ცოლიც და ქმარიც მუშაობს და ინანილებს სახლის საქმესა და ბავშვებზე ზრუნვას. ამ აზრს იზიარებს ივანიშვილის მხარდამჭერთა 67.5%, სკეპტიკოსთა 66.2% და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 61.1%.

91.5%, ოდნავ უფრო ნაკლები, ვიდრე ეს ოჯახთან მიმართებაში იყო ფიქრობს, რომ ყველაფერი გვერდზე უნდა გადასდოს მეგობრის დასახმარებლად. ასევე უფრო ნაკლებს, (39.0%) ვიდრე ეს ოჯახის შემთხვევაში იყო მიაჩნია, რომ უნდა დაიცვას მეგობრის ინტერესები, მაშინაც კი როდესაც ის მართალი არ არის.

## დემოკრატია

დემოკრატიას ჯგუფები სხვადასხვაგვარად აფასებენ. მმართველობის საუკეთესო ფორმად იგი ნაციონალურ მოძრაობის ყველაზე დიდ ნაწილს, 80.9% მიაჩნია. ყველაზე ნაკლებად (57.0%) ამ შეფასებას სკეპტიკოსები იზიარებენ (იხ. დანართი, ცხრილი 17). ძნელი სათქმელია რას გულისხმობენ

რესპონდენტები დემოკრატიაში, რადგან პასუხები შემდგომ დასმულ კითხვებზე ნაკლებად შეესატყვისება გაკეთებულ შეფასებებს. ამკარად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ჯგუფებიდან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები ყველაზე ნაკლებად, ხოლო სკეპტიკოსები ყველაზე მეტად ირჩევენ პასუხებს, რომლებიც დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებულ მახასიათებლებს წარმოადგენს. ასე მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის მომხრეთა მხოლოდ 60.6%-ს მიაჩნია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უნდა უსმენდეს და აკეთებდეს იმას, რასაც ხალხი მისგან მოითხოვს (იხ. დანართი, ცხრილი 18). ასევე, სხვა ჯგუფებთან შედარებით დემოკრატიის საუკეთესოდ ყველაზე მეტად შემფასებელ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების ყველაზე დიდ ნაწილს (53.1%) მიაჩნია, რომ ხალხის მონაწილეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას არ არის აუცილებელი (იხ. დანართი, ცხრილი 19). ამ ჯგუფის წევრთა მხოლოდ 40.1% ფიქრობს, რომ ნებისმიერ ინდივიდსა და ორგანიზაციას აქვს სახელმწიფოს ნებისმიერი ინიციატივის საწინააღმდეგო აქციის მოწყობის უფლება (იხ. დანართი, ცხრილი 20). ასევე სხვა ჯგუფებთან შედარებით ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა ყველაზე მცირე ნაწილი (82.5%) ფიქრობს, რომ ნებისმიერ ადამიანს უნდა ქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა (იხ. დანართი, ცხრილი 21). ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების ყველაზე დიდი ნაწილს (59.4%) მისაღებად მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ კანონი დაარღვიოს, იმისათვის რომ ბოროტმოქმედი დააკავოს (იხ. დანართი, ცხრილი 22). ასევე ნაციონალურ მოძრაობის მხარდამჭერთა შორის ყველაზე მაღალია მათი წილი (18.4%) ვინც ფიქრობს, რომ მთავარია პოლიტიკოსმა სასურველ შედეგს მიაღწიოს და მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საშუალებას გამოიყენებს ამისთვის (იხ. დანართი, ცხრილი 23).



ნახ. 8

**დემოკრატიული ღირებულებები**

პოლიტიკური ლიდერის მხარდაჭერის მართებულობას ყველაზე მეტად ნაციონალური მოძრაობის, ხოლო ყველაზე ნაკლებად ივანიშვილის მომხრეები უჭერენ მხარს. ნაციონალური მოძრაობის მომხრეთა 43.0%, ხოლო ივანიშვილის მომხრეთა 23.4% მიაჩნია, რომ პოლიტიკური პარტიის წევრმა საჯაროდ უნდა დაიცვას პარტიის ლიდერის მოსაზრება, მაშინაც კი როდესაც ის მას არ ეთანხმება (იხ. დანართი, ცხრილი 24).

**თანასწორობა**

თანასწორობის შესახებ სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტთა მხარდამჭერებს მსგავსი შეხედულება აქვთ. მოსახლეობის 68.2% ეკონომიკური თანასწორობის მომხრეა. 62.8% ფიქრობს, რომ ჰომოსექსუალ კაცებსა და ქალებს უნდა შეეძლოთ იცხოვრონ ისე, როგორც ეს მათ სურთ.

რელიგიური ტოლერანტობა დაბალია. გამოკითხულთა მხოლოდ ერთ მეოთხედზე ნაკლებს მიაჩნია, რომ სხვა კონფესიების წარმომადგენლებს უნდა ქონდეთ საქართველოში ისეთივე უფლებები, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიას.

გამოკითხულთა უმეტესობა (86.1%) საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების აქტიური ჩართვის მომხრეა, ასევე დიდი ნაწილი

(77.2%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ უმაღლესი განათლება ბიჭისათვის უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ დასაქმების სფეროში თანასწორობის მოთხოვნა ბევრად ნაკლებია. 35.0%-ს მიაჩნია, რომ სამუშაო ადგილების სიმცირის შემთხვევაში სამსახურში აყვანისას უპირატესობა კაცებს უნდა მიენიჭოთ, 54.8% კი ფიქრობს, რომ ყველასათვის უკეთესია, როდესაც კაცი მუშაობს, ქალი კი ოჯახს უვლის.

## რელიგია

გამოკითხულთა 93.4% მართლმადიდებელია, 2.4% მაჰმადიანი, 1.7% კათოლიკე, 0.6% გრიგორიანელი და ამდენივე იელოვას მონმეა, სხვა კონფესიის წარმომადგენელია 0.4%, 1.0% ათეისტია. გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (96.0%) აღნიშნავს, რომ რელიგია მისთვის მნიშვნელოვანია. ნახევარზე მეტი (56.3%) მიიჩნევს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია. ასე ფიქრობს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა ყველაზე დიდი (66.0%) და სკეპტიკოსთა ყველაზე მცირე (50.0%) ნაწილი (იხ. დანართი, ცხრილი 25).


რესპონდენტთა უმრავლესობა ჩანს სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების წინააღმდეგია, რადგან თითქმის ნახევარს (49.4%) მიაჩნია, რომ ის პოლიტიკოსები, ვისაც ღმერთის არ სწამს არ უნდა იქნენ არჩეული მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე. ამ აზრს უფრო მეტად იზიარებენ ივანიშვილის მხარდამჭერები (54.2%), ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები (48.3%) და სკეპტიკოსები (45.3%) (იხ. დანართი, ცხრილი 26). ასევე მხოლოდ 31.2% ეთანხმება მოსაზრებას, რომ რელიგიური ლიდერები არ უნდა ერეოდნენ ქვეყნის მართვის საკითხებში. ჩარევის წინააღმდეგია ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 38.3%, სკეპტიკოსთა 32.9% და ივანიშვილის მხარდამჭერთა 27.9% (იხ. დანართი, ცხრილი 27).

უმრავლესობა (73.1%) აღიარებს მღვდელის ავტორიტეტს და მიაჩნია, რომ მრევლის წევრმა უნდა გააკეთოს ის, რის გაკეთებესაც მას მამაო ურჩევს. ამ საკითხთან მიმართებაში ჯგუფები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.



## საქართველოში არსებული ვითარების შეფასება


თუ ღირებულებებთან დაკავშირებით განსხვავება სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერების მხარდამჭერთა შორის საერთო ჯამში დიდი არ არის, სრულიად განსხვავებული სურათია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებისას. ყველაზე დიდი პოლარიზაცია ნაციონალური მოძრაობის და ივანიშვილის მხარდამჭერებს შორის ბუნებრივია, რომ სწორედ აქ აღინიშნება. ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები ყველაზე დადებითად, ხოლო ივანიშვილის მომხრეები ყველაზე უარყოფითად აფასებენ მდგომარეობას. შუალედური პოზიცია უკავიათ სკეპტიკოსებს, თუმცა ისინი ბევრად უფრო ახლოს არიან ივანიშვილის მომხრეების პოზიციასთან. ასე მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 89.0% და ივანიშვილის მხარდამჭერთა მხოლოდ 22.9%-ს მიაჩნია, რომ საქართველო განვითარების სწორ გზაზეა; ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 69.8% და ივანიშვილის მხარდამჭერთა 12.5%-ს მიაჩნია, რომ საქართველოში არის დემოკრატია; ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 25.1%, ხოლო ივანიშვილის მხარდამჭერთა 9.5% ფიქრობს, რომ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის გადაწყვეტილებებზე; ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 78.5%, ხოლო ივანიშვილის მხარდამჭერთა მხოლოდ 24.2% თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლება ძირითადად ითვალისწინებს ხალხის აზრს; ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 61.2% და ივანიშვილის მხარდამჭერების 9.4%-ს მიაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორნი არიან; ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების 66.8% და ივანიშვილის მხარდამჭერთა 14.6% თვლის, რომ საქართველოში დაცულია ადამიანის უფლებები (იხ. დანართი, ცხრილი 28).



ნახ. 9

ქვეყანაში არსებული სიტუაციის შეფასება

ინსტიტუტებს შორის ყველაზე მეტი ნდობით ეკლესია, შემდეგ პოლიცია და სახალხო დამცველი სარგებლობენ. კითხვარში ჩამოთვლილ ყველა ინსტიტუტს ეკლესიის გარდა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა ყველაზე დიდი და ივანიშვილის მხარდამჭერთა ყველაზე მცირე ნაწილი ენდობა. ეკლესიასაც ყველაზე მეტად ნაციონალური მოძრაობის წევრები ენდობიან (91.4%), მაგრამ ყველაზე ნაკლები მხარდამჭერა ეკლესიას არა ივანიშვილის მომხრეთა (82.2%), არამედ სკეპტიკოსებისგან აქვს (80.1%) (იხ. დანართი, ცხრილი 29).



ნახ. 10

ნდობა ინსტიტუტებისადმი

რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ საქართველოს წინაშე არსებული ჩამოთვლილი 24 პრობლემიდან შეერჩიათ ხუთი, მათი აზრით ყველაზე მწვავე პრობლემა. სამივე ჯგუფმა 4 ერთიდაიგივე პრობლემა შეარჩია – უმუშევრობა, სიღარიბე, რუსეთთან ურთიერთობა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. მეხუთე პრობლემად ივანიშვილის მხარდამჭერებმა ადამიანის უფლებები, სკეპტიკოსებმა და ნაციონალური მოძრაობის მომხრეებმა კი რუსეთის საჯარისო ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა შეარჩიეს. სამიდან ნებისმიერ ორ ჯგუფს შორის შეფასებათა 10%-ზე მეტი განსხვავება დაფიქსირდა შემდეგი პრობლემების შეფასებისას (იხ.დანართი, ცხრილი 30).

*უმუშევრობა.* ივანიშვილის მხარდამჭერთა 69.8 %, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 78.0% და სკეპტიკოსთა 78.9%-ს.

*ურთიერთობა რუსეთთან.* ივანიშვილის მხარდამჭერთა 44.9%, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 45.5% და სკეპტიკოსთა 59.9%-ს.

*რუსეთის საჯარისო ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა.* ივანიშვილის მხარდამჭერთა 27.9%, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 62.7% და სკეპტიკოსთა 37.9%-ს.

*საქართველოს მოსახლეობის სხვა ქვეყნებში გადინება.* ივანიშვილის მხარდამჭერთა 14.3%, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 25.8% და სკეპტიკოსთა 17.4%-ს.

*ტელეარხების თავისუფლება.* ივანიშვილის მხარდამჭერთა 17.0%, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 2.4% და სკეპტიკოსთა 10.6%-ს

ივანიშვილის და ნაციონალური მოძრაობის მომხრეები მკვეთრად განსხვავდებიან საქართველოს საგარეო ვექტორის პრიორიტეტის მიხედვით. ორი მტკიცებიდან:

1. ამერიკა შორს არის, და ვერაფერს გვიშველის, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, თუნდაც უარი თქვას ამერიკასთან თანამშრომლობაზე, იმისათვის რომ გაიუმჯობესოს რუსეთთან ურთიერთობა
2. დღეს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც რა მოხდება ამას ამერიკა წყვეტს და მთავარი მასთან თანამ-

შრომლობა, რუსეთს უკვე ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლია

ივანიშვილის მომხრეთა უფრო დიდმა ნაწილმა (69.6%) რუსეთთან, ხოლო ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 73.6%-მა პრიორიტეტი ამერიკასთან ურთიერთობას მიანიჭა (იხ. დანართი, ცხრილი 31).

გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (33.3%) მიაჩნია, რომ საქართველოს მომავალი ძირითადად საქართველოზეა დამოკიდებული. ასე ფიქრობს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 38.6%, სკეპტიკოსთა 38.1% და ივანიშვილის მომხრეთა 29.5% (იხ. დანართი, ცხრილი 32).

## ძირითადი შედეგები

კვლევის შედეგების სხვადასხვა პოლიტიკურ ძალათა ელექტორატის მიხედვით ანალიზმა ცხადყო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს იკავებს საკუთარი პოლიტიკური სიმპატიების გამჟღავნებისგან. პოლიტიკური გარემო რეალურად პოლარიზებულია და გაერთიანებულია ორი ძალის – ივანიშვილისა და ნაციონალური მოძრაობის გარშემო, ამასთან ივანიშვილის მხარდამჭერები ჭარბობენ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს. ძალზე დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უცხადებს ნდობას. მათი პოზიცია შუალედურია, კვლევაში შესწავლილ საკითხების მიმართ, თუმცა უფრო ახლოს არის ივანიშვილის, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მომხრეთა პოზიციასთან.

სხვადასხვა ძალების მხარდამჭერები ფაქტიურად არ განსხვავდებიან ლირებულებების პრიორიტეტების მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვნად ყველას ჯანმრთელობა, ოჯახი, სახლი და განათლება მიაჩნია. ელექტორატი განსხვავებულად აფასებს დემოკრატიას. ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა ყველაზე დიდ ნაწილს და სკეპტიკოსთა ყველაზე მცირე ნაწილს ის მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია. პარადოქსალურია, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმდევრების ყველაზე მცირე, ხოლო სკეპტიკოსთა ყველაზე დიდი წილი მიიჩნევს დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებულ მახასიათებლებს მნიშვნელოვნად, ისეთებს, როგორცაა: აუცილებლობას ხელისუფლება უსმენდეს

ხალხს, ადამიანებს და ორგანიზაციებს ქონდეთ უფლება მოაწყო სახელმწიფოს ინიციატივის საწინააღმდეგო აქცია, რიგით მოქალაქეს ქონდეს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემები მეტ-ნაკლებად მსგავსად არის შეფასებული ორივე პოლიტიკური ძალის ელექტორატისა და სკეპტიკოსების მიერ. ძირითად პრობლემად აღქმულია უმუშევრობა, სიღარიბე, რუსეთთან ურთიერთობა, რუსეთის საჯარისო ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. მიუხედავად ამგვარი მსგავსებისა ძალზე დიდია განსხვავება საქართველოში არსებული კონკრეტულ ვითარების, განსაკუთრებით დემოკრატიასთან დაკავშირებული მდგომარეობის და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის შეფასებაში. ივანიშვილის მომხრეებთან შედარებით მდგომარეობას მნიშვნელოვნად უფრო დადებითად აფასებენ ნაციონალური მოძრაობის მიმდევრები. სკეპტიკოსების შეფასება ამ ორი ჯგუფის შეფასებებს შორის არის, თუმცა ბევრად უფრო ახლოს არის ივანიშვილის მხარდამჭერთა შეფასებებთან.

საერთო ჯამში მონაცემები მიუთითებენ, რომ არჩევნებამდე 10 თვით ადრე ელექტორატი ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაშია. პარტიებს საკმაოდ დიდ რეზერვი აქვთ ამომრჩეველთა ნახევარის სახით, რომელმაც ან არ გაამჟღავნა თავის სიმპათიები, ან ჯერ არ აქვს სიმპათიები ჩამოყალიბებული, ან ჯერჯერობით არცერთ ძალას არ ენდობა. ამომრჩეველთა სიმპათიები სავარაუდოდ განსაზღვრული იქნება იმდენად არა იმით, თუ ცვლილებებისთვის რა სფეროს შეარჩევს პოლიტიკური ძალა, არამედ იმით თუ რამდენად შესძლებს იგი ელექტიორატის დარწმუნებას იმაში, რომ გააჩნია ცვლილების განხორციელების ძალა და უნარი.

In the period preceding elections, gaining the knowledge on demographic profile of the supporters, their values, beliefs and estimations becomes especially important for each political actor. Equal access to this information will contribute to the fairness and equality of pre-election process, will provide an opportunity to all political parties to better plan their pre-election campaign. To this end serves the analyses of the part of the data of supported by OSGF study “Generations and Values”. The study itself aims at determining the similarities and disparities in values of different generations of adults for planning ways for decreasing the intergenerational distance and supporting effective cooperation, but due to the vicinity and the importance of parliamentary elections a question concerning political preferences was included in the survey instrument. The analyzes presented below describes demographic profile, beliefs, values, personality features of the respondents grouped by political preferences and their attitudes towards existing in the country situation.

The study was carried out in the period of November, 21 – December, 19 2011 in all the regions of Georgia. It was representative, as the number of surveyed in each region corresponded to the share of population of region to country’s total population. Although the sample had some restrictions. Due to the goal of the study, persons of three generations, only those aged 18-24, 40-50, and 60-70 were surveyed. The hierarchical probability sampling was used for the selection of the respondents – the interviewers visited every fifth house of the settlement from the predetermined starting point and surveyed the household member corresponding to the identified by methodology quota of specific age and gender. The interviewes were taken only from Georgian speaking population. Interview lasted from 30 to 45 minutes.

Agreement to participate in the survey posed a serious problem in Tbilisi.

## **ANALYSES OF RESULTS**

Question for determining political preference was worded in the following way: “In case of presidential elections hold tomorrow, who will you vote for?”

Above the half of the respondents did not give a definite answer. The most often cited possible presidential candidate was Bidzina Ivanishvili.

Table 1


**Ranking of the presidential candidates %**

N	Candidate	N=1058
1	Bidzina Ivanishvili	22.7
2	Difficult to answer	19.8
3	Do not want to answer	15.4
4	No one	15.2
5	Other	9.5 from this 8.7 named Mikhail Saakashvili
6	Gigi Ugulava	7.5
7	David Bakradze	3.8
8	Irakli Alasania	2.0
9	Giorgi Targamadze	1.9
10	Shalva Natelashvili	0.9
11	Sozar Subari	0.3
12	Nino Burjanadze	0.1
13	Irakli Okruashvili	0.1
14	Levan Gachechiladze	0

A big share of respondents, more than the third refused to reveal political preferences, some declared that did not want to reveal it, others said that have not made a choice so far. Also big was the share of skeptics, of those who has not supported any political actor. These three groups constitute the half of the respondents and in fact are a potential reserve of any political actor. Concentration of oppositional electorate around Ivanishvili's figure became evident, all the other leaders of opposition taken together are supported by mere 3.3% . This definitely points to the existence of only two real powers – of Ivasnishvili and the National Movement.

Below we will present the part of the study results united into five groups - supporters of Ivansihvili (Gr.I), opposition (Gr.II), the National

Movement (Gr.III), those who has not revealed preference – selecting answer options: do not want to answer and difficult to say (Gr.IV), and those who do not have preferences (Gr.V) (See Annex, Table 1). The data mostly are presented in Tables in Annex. For the clarity, in the text we do not discuss two groups – supporters of opposition, which is too small and therefore the data do not allow to make generalization and the group, which did not reveal the preferences. So the focus is on the supporters of Ivanishvili, of National Movement and on those who do not support any one, whom we call Skeptics.



**Graph 1**  
**Supporters of political actors**

## **DEMOGRAPHIC PROFILE AND INTEREST IN POLITICS**


Compared to others Ivanishvili supporters are more concentrated (61.9%) in urban areas (See Annex, Table 2), have higher than high and vocational education (University students, persons with University and doctoral degrees) – 59.3% (See Annex, Table 3). Compared to the supporters of the National Movement more Ivanishvili’s supporters are computer, internet and social network users (56.7%, 53.6% and 43.2% correspondingly) (See Annex, Table 4). 27.7% often talks politics with friends (See Annex, Table 5), less than a half (45.7%) is interested in politics (See Annex, Table 6), 40.2% follows TV news daily (See Annex, Table 7).

Rural population prevails among the supporters of National Movement (62.7%). 47.4% of their supporters has unfinished University or University education. 51.7% is user of computer, 49.0% of internet and



40.4% of social networks. 30.6% often discusses politics with friends, more than a half (50.7%) is interested in politics. The biggest share, 71.3% follows TV news daily.

The majority (55.3%) of those, who does not support any political entity is urban dweller. 50.3% has higher than high and vocational education. This group has the highest portion of computer, internet and social networks users (64.0%, 62.7% and 53.4% correspondingly). 16.6 % often discusses politics with friends, Very small fraction (25.5%) points that is interested in politics, only 39.1% watches TV news on a daily bases.




**Graph 2**  
**Demographic profile of supporters**

## ECONOMIC CONDITION

According to the self-ratings majority considers own family of middle affluence. Skeptics are better-off (34.9%) than supporters of Ivanishvili (32.5%) and the National Movement (27.5%) (See Annex, Table 8).

Majority (51.7%) points that the economic condition of their family has not changed during the last year. The difference between the groups of supporters appears among those, who pointed to the change. 37.8% of National Movement supporters declares positive and 18.7% negative change. Similarly, among the Skeptics the bigger is the share of those who pointed on improvement (28.5%), compared to those who pointed

on deterioration (21.5%), while the opposite tendency is apparent among Ivanishvili supporters - 19.6% of them speaks on improvement and 29.4% on deterioration of economic condition (See Annex, Table 9).




**Graph 3**  
**Observed change in economic condition of the family during past year**

56.90% of National Movement supporters, 52.6% of Skeptics and 51.5% of Ivanishvili supporters does nothing for income generation (See Annex, Table 10). From those who work, the majority has income from working in state sector. More the National Movement supporters (15.3%) than anyone else’s work there. Private sector serves as a source of income for the biggest part of Ivanishvili (17.0%) supporters (See Annex, Table 11).


**VALUES, BELIEFS AND PERSONAL FEATURES**

The groups do not differ by values. Health, family, home and education are evaluated as the most valued aspects of life. Its noteworthy that compared to all the other groups, Skeptics ascribe more value to friendship (See Annex, Table 12).




**Graph 4**  
**Importance of values**

In fact the groups also do not differ by the ranking of the importance of different personality features. Majority considers the most important for the person to be loyal to friends, to enjoy respect, to be helpful, to believe in God and be humble (See Annex, Table 13).



**Graph 5**  
**Importance of different personality features**

The groups have similar attitudes to work values. Salary, and then work, being interesting and important are considered as the most important features (See Annex, Table 14).



**Graph 6**  
**Importance of different aspects of work**

The importance people ascribe to the features that child can learn at home is one more aspect of values. All, listed in questionnaire 11 features were estimated as important by more than 90.0%. Among them majority selected responsibility, hard work, knowing how to behave in society and persistence as the most important. Its worth noting that independence was considered as an important feature by the smallest portion of respondents (See Annex, Table 15).

The supporters of the National Movement stand out by optimism and self-esteem. These features the least characterize Ivanishvili supporters. Skeptics occupy the middle position. 93.8% of the National Movement supporters is convinced that ultimately, the hard work brings success (so thinks 77.7% of Ivanishvili supporters and 77.0% of Skeptics), 82.2% thinks that what one achieves in life depends more on her, than on others or situation (so thinks 66.3% of Ivanishvili supporters and 69.4% of Skeptics). 59.9% believes that in life everything will happen more as one wishes (so thinks 52.1% of Ivanishvili supporters and 61.6% of Skeptics). Quite self-confident is 72.2% of supporters of the National Movement, 61.5% of Skep-

tics and 52.1% of Ivanishvili supporters. Satisfied with the life is 52.6% of the National Movement supporters, 33.5% of Skeptics and 31.7% of Ivanishvili supporters. 64.1% of the National Movement supporters, 60.6% of Skeptics and 46.2% of Ivanishvili supporters feel happy. Majority of the members of all the three groups (69.4%) is convinced that good education ultimately will bring success. The most of all in this again believe supporters of the National Movement, and the least of all – Skeptics (65.2%). The National Movement supporters express the most (23.1%) and Skeptics the least trust (16.2%) to others (See Annex, Table 16).



## RELATIONSHIPS

Supporters of all the political actors, 97.1% of respondents considers family as an important institution. 88.7% disagrees with the statement that marriage is outdated. 93.2% thinks it important for the family to celebrate festivities together, 72.9% prefers family to dine together. 95.3% thinks that person should put aside everything to help the family member in need and according to 52.2% person should defend family interest even knowing that family’s position is not right.

67.2% thinks that man should have a final say in family decisions. According to 49.1% after marriage women should devote less time to work. So thinks 51.0% of Skeptics, 49.2% of Ivanishvili and 45.4% of the National Movement supporters. Although the majority (66.3%) expresses preference


to the marriage in which both spouses work and share household duties, this type of marriage is preferred by 67.5% of Ivanishvili supporters, 66.2% of Skeptics and 61.1% of the National Movement supporters.

A bit less (91.5%) than in regard to family member, thinks that person should put aside everything to assist a friend in need. 39.0% considers necessary to support friend's position, even when it is not right.

## **DEMOCRACY**

Evaluation of democracy differs among the groups. It is considered as the best form of governance by the biggest share (80.9%) of the supporters of the National Movement. Least of all this estimation is supported by Skeptics (57.0%) (See Annex, Table 17). It is difficult to judge what meaning respondents ascribe to democracy, as the answers to the questions that follow the evaluation do not correspond to it. There is an apparent tendency for Skeptics selecting the answer options corresponding the most and for the supporters of the National Movement the least, to the acknowledged features of democracy. So, only 60.6% of the National Movement supporters thinks that the President of the country should listen to people and act according to their needs (See Annex, Table 18). Also the biggest part of the National Movement supporters, i.e respondents who evaluate democracy in the most positive way, does not consider participation of people in decision-making necessary (See Annex, Table 19). Only 40.1% of this group thinks that any person or organization has the right to organize protest action against state initiative (See Annex, Table 20). Again, compared to others, the smallest is the portion of the National Movement supporters (82.5%), who thinks that everyone should be granted freedom of expression (See Annex, Table 21). The biggest portion of the National Movement supporters (59.4%) considers acceptable for authorities to sometimes violate the law for the detention of a criminal (See Annex, Table 22). Also in this group is the biggest the share of those (18.4%) who considers that the main thing for the politician is to achieve the set aims, and it does not matter what ways he will use for this (See Annex, Table 23).

Idea of the necessity to defend the position of party leader by its members, even in case when one does not agree with it, is most supported by the National Movement (43.0%) and the least by Ivanishvili (23.4%) supporters (See Annex, Table 24).



**Graph 8**  
**Democratic values**

## EQUALITY

Respondents have the similar attitudes towards equality. 68.2% of population is for economic equality, 62.8% thinks that homosexual men and women should have the right to live as they wish.

Religious tolerance is rather low. Only less than one fourth of the surveyed thinks that the representatives of other confessions should enjoy the same rights as the Orthodox Christians.

Majority (86.1%) is for the increase of women’s participation in public life. The biggest share (77.2%) does not agree with the statement that University education is more important for boys than girls. Although the attitude towards gender equality in employment sphere is much less egalitarian. 35.0% thinks that in case of scarcity of jobs, preference should be given to men and 54.8% thinks that it is better for everyone, when men works and woman looks after the family.

## RELIGION

